სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

01 / აპრილი / 2026 წ.

KA080104662227226

№ **1136**

განკარგულება

შპს „ბულ ბილდერსის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქარელის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT250017750;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბულ ბილდერსი“ (ს/ნ: 439419416);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. **ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2026 წლის 13 თებერვალს და 24 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 12 თებერვლის № 104-1042604346 წერილობითი და 24 თებერვლის № 104-104260558 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 1435; № 1784), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბულ ბილდერსის“ (ს/ნ: 439419416) მიერ NAT250017750 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2025 წლის 30 ოქტომბრის № 153 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის mikheilkhachidze@yahoo.com მეშვეობით, 2026 წლის 24 თებერვლის №730 წერილით აცნობა, სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

1.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2026 წლის 31 მარტს, სააგენტოს 2026 წლის 26 მარტის № 1216 წერილის პასუხად წარმოადგინა 2026 წლის 31 მარტის № 104-1042609052 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №2805) მიმწოდებლის მიერ NAT250017750 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2025 წლის 30

ოქტომბრის № 153 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. **შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 30 ოქტომბრის № 153 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამასთან ამოწურული იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მიმწოდებელმა ვალდებულებები შეასრულა არაჯეროვნად. კერძოდ, გრუნტის დამუშავება და ტერიტორიის მოსწორება მექანიზმით, თანმდევი მოტკეპნით შესრულდა უხარისხოდ, რის გამოც აღნიშნული სამუშაო არ იყო ჩაბარებული. შემყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ტერიტორია მოსწორებულ იქნა არათანაბრად, რაც ვიზუალურად შეიმჩნეოდა.

3. **მიმწოდებლის პოზიცია**

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. **სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2025 წლის 30 ოქტომბერს, NAT250017750 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს – შპს „ბულ ბილდერსს“ (ს/ნ:439419416) შორის დაიდო № 153 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 28 კალენდარულ დღეში, უნდა შეესრულებინა სოფელ ზღუდერში არსებული სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოები 2025 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 33 999, 80 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 31 დეკემბერი.

4.2. საქმეში არსებული 2025 წლის 11 ნოემბრის № 152 ინსპექტირების აქტით დგინდება, რომ საყრდენი ბოძების მოსაწყობად გათვალისწინებული გრუნტის, ბოძებისა და ბეტონის მოცულობები არ შეესაბამებოდა ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მოცულობებს.

4.3. 2025 წლის 14 ნოემბრის №125, 17 ნოემბრის №130, 25 ნოემბრის №149, 5 დეკემბრის №157 და 8 დეკემბრის № 163 ინსპექტირების აქტების თანახმად, აღნიშნულ პერიოდში ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობდა.

4.4. 2025 წლის 18 ნოემბრის № 156 ინსპექტირების აქტის მიხედვით, ობიექტზე შესრულებულ შემოღობვის სამუშაოებში ფიქსირდებოდა ხარვეზები. კერძოდ: ღობის საყრდენ ბოძებს შორის არ იყო დაცული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 3-მეტრიანი დაშორება, შესრულებული იყო ღობის საყრდენი ბოძების ნაკლები რაოდენობა, ორი კუტიკარის ნაცვლად მოწყობილი იყო მხოლოდ ერთი კუტიკარი. ასევე, ტერიტორია არ იყო მოსწორებული და დატკეპნილი ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.5. მიმწოდებელმა 2025 წლის 9 დეკემბერს, შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ობიექტზე სამუშაოები იყო დასრულებული და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

4.6. ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის № 200 დასკვნის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები, კერძოდ, გრუნტის დამუშავება და ტერიტორიის მოსწორება მექანიზმის გამოყენებით, თანმდევი მოტკეპნით, შესრულებული იყო უხარისხოდ. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრული იყო 2025 წლის 27 ნოემბერი, თუმცა ობიექტზე სამუშაოები დასრულდა 12 დღის ვადაგადაცილებით – 2025 წლის 9 დეკემბერს. ამავე დასკვნის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 31 104, 41 ლარის ღირებულების სამუშაოები, რისთვისაც მას ეკისრებოდა პირგასამტეხლო.

4.7. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 31 104, 41 ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 91%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბულ ბილდერსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 30 ოქტომბრის № 153 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. საქმეში არსებული მიმღები კომისიის 2025 წლის 18 დეკემბრის №200 დასკვნის, მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გრუნტის დამუშავება და ტერიტორიის მოსწორება მექანიზმის გამოყენებით, თანმდევი მოტკეპნით შესრულებული იყო უხარისხოდ, ტერიტორია მოსწორებულ იქნა არათანაბრად, რაც ვიზუალურად შეიმჩნეოდა. აღნიშნული მიზეზით, ზემოხსენებული პოზიცია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში არ ჩათვლილა. ამგვარად, მოცემული ფაქტებისა და მსჯელობის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 91%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ბულ ბილდერსის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბულ ბილდერსს“ (ს/ნ: 439419416) 2026 წლის 2 აპრილს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე